



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 147



2016 წლის 19 დეკემბერი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის მუნიციპალური განვითარების ფონდისაგან კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანების და ნარჩენების კონტეინერების შესყიდვისათვის სესხის აღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიმდინარე წლის 8 დეკემბრის № 01/3740 წერილის მიხედვით საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში, საქართველომ საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტისათვის მიიღო დაფინანსება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სახელმწიფომ, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მეშვეობით, ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის შეისყიდა კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანები და ნარჩენების კონტეინერები (ჩამონათვალი და რაოდენობა დანართი №1-ის შესაბამისად). აღნიშნული ქონების საფასური გადახდილ უნდა იქნეს ხაშურის მუნიციპალიტეტსა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასესხო პირობების შესაბამისად: სესხის თანხა 143 111.2 (ასორმოცდასამიათას ასთერთმეტი და ოცი) ევრო (დღგ-ს გარეშე); ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარში) გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ლარის მიმართ ევროს ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებას წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის სასესხო ვალდებულებების ფორმით განახორციელოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისგან კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანების და ნარჩენების კონტეინერების (ჩამონათვალი და რაოდენობა დანართი №1-ის შესაბამისად) შესყიდვა შემდეგი სასესხო პირობების შესაბამისად: სესხის თანხა 143 111 (ასორმოცდასამი ათას ასთერთმეტი) ევრო; ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარში) გადახდის დღეს ეროვნულ ბანკის მიერ დაფიქსირებული ლარის მიმართ ევროს ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეფაინოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

**ხაშურის მუნიციპალიტეტში ნაგავმზიდი მანქანების
და ურნების შესახებ**

№	მუნიციპალიტეტი	ნაგავმზიდი მანქანები				ურნები
		20 მ3. რაოდენობა, ცალი	13 მ3 1 ხიდ. რაოდენობა, ცალი	7 მ3 1 ხიდ. რაოდენობა, ცალი	7 მ3 2 ხიდ. რაოდენობა, ცალი	მისაწოდებელი ურნების რაოდენობა
1	ხაშური		1	1		100